# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 17 თებერვალი № 1384

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: [...]ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

[...]ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში [...]ს ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო[...]კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.** **ტელეფონი № 372.**



„მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“

ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ [ტფ]ილისის მცხოვრებთათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის [დრ]ოს 6 მან —ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომ[წე]რთათვის 5 მანეთი. შემდეგ აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს [2] მანეთი.

„ცნობის ფურცელი“ ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წელიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

ქართული თეატრის არტისტები

**ნ. ჩხეიძის, ვლ ალექსი-მესხიშვილის** და **ვ. გუნიას**

მონაწილეობით გამართავენ წარმოდგენებს

ქ. ბათუმში, ფოთში [დ]ა ოზურგეთში

✿ პირველი წარმოდგენა გაიმართება ქ. ბათუმში 22 თებერვალს ✿

რეპერტუარი (ახალი პიესები)

[ბე]რი **გმირი**, ისტ. დრ. 3 მოქ. გურულების ცხოვრებიდან, ვ. გუნიასი.—**ოტელლო**, [ტ]რ. 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგ. ი. ივ. მაჩაბლისა.—**ირინეს ბედნიერება**, დრ. 2 მოქ. [...]ენის ცხოვრებიდან, დ. კლდიაშვილისა.—**ცხოვრება**, დრ. სურათები 2 მოქ. თანა[მე]დროვე ცხოვრებიდან.—**ციხის საიდუმლო**, დრ. 4 მოქ. ქიზიყელების წარსულ ცხოვ[რ]ებიდან, ვ. გუნიასი.—**პირველი ბუზი**, კომედ. 3 მოქ. ველიჩკოს პიესიდან გადმოკეთებული და ერთ მოქმედებიანი კომედიები და ვოდევილები.

[რე]ჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ადმინისტრატორი ვ. გუნია. (ნ. 2—1)

ტფილისის არტისტიულ საზოგ დოების თეატრში და დარბაზში

**სამშაბათს, 20 თებერვალს,**

კნეინა ნინო დავითის ასულის ჩოლოყაშვილის თაოსნობით

[ქა]რთული დრამატიული **საზოგადოების** და არტისტთა დასახმარებელი ფონდის სასარგებლოდ გამართული იქნება წარმოდგენა და ბალი:

I **ქართულად** ზანუმა კომ. ა. ცაგარლისა (1-ლი და მე-2 მოქმ.)

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი კანდელაკი და სხვ.

II. რუსულად **დროებით სიყვარული** კომ. 2 მოქ.

[მ]ონაწ. მიიღებენ: ქ.ქ. პაპოვისა, ხატისოვისა; ბ.ბ. ოპოჩინინი, ტატიშჩევი და ვეიმანი.

III

ცოცხალი სურათები

დადგმული ბ. ა. ი. შამშინოვის-მიერ.

[მ]ონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. კნ. მ. ტ. ბარათაშვილისა, კნიაჟ. ნ. ა. აფხაზისა, მ. ს. წერეთლისა, თ. გ. [წ]ერეთლისა, ე. ს. წერეთლისა, ე. დ. ჩოლოყაშვილისა, ი. დ. ფალავანდიშვილისა, ქ-ნი ვ. ს. შამშინოვისა, [...] გ. ჭიჭინაძისა, ა. ი. კაბენინისა, ა. ე. იოსელიანისა, კნიაჟ. თ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა; ქ-ნი მ. ა. მუატი, კნიაჟ. ს. ზ. ჰავჰავაძისა, ქ-ნი ა. დ. ჩიჩავაძისა და თავ. ი. დ. აბხაზი.

IV

წარმოდგენის დასასრულ არტისტ. საზოგად. დარბაზში გაიმართება

ბალი

წარმოდგენის დასაწყისი 8 ს., ბალის 12-ზე.

**ლოჟები ყველა გაყიდულია.**

დანარჩენი ბილეთების ყიდვა შეიძლება ქართულ თეატრის კასა[...]

ტფილისის [illegible] კე[...]ძო

სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

[ა]ვადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვების და წამლობა ელექტრონით — 9 - 10 ს.

ნ. ა მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10 2 საათამდე.

ა. ნ. პატიღოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვების 11—12 ს.

დ ა. გედევანიშვილი — ნერვების და შინაგანი — 12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო — $12^1/_2$ $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისის, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$—2 საათამდე.

მ. ი. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა 1—2 სათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოოგლოვი — შინაგანი (სტომაქის ავათმყოფობანი) და ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5—6 საათზე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

(წდ.)


## მთავრობის განკარგულებანი.

მღვდლის შვილი ილია იმედაიშვილი ჩაირიცხა ფოსტალიონად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

ზაქათალის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ვიქტორ ლალიაშვილი გადაყვანილი იქმნა ფოსტალიონად ტფ. კანტორაში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, სისხლის სამართლის წესდებულების მე-1100 მუხლის თანახმად, დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი ადგ. სოვეტნ. მალაქია ცხეთაძე.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 თებერვალი.

**პეტერბურგი.** 15 თებერვალს ხელმწიფე მემკვიდრემ დაათვალიერა ფულის საჭრელი ქარხანა.

**შანხაი.** სამი იტალიელი სამხედრო გემი შეუდგა წყლის სიღრმის გამოკვლევას ნიმროდ-ზუნდში, ნინპოდან სამხრეთით. ზღვაოსნებმა ააშენეს თავშესაფარები ზუნდის სამხრეთ ნაპირზე.

კერძო ცნობებით, მდინარე პეიხოზე ყინული დაიძრა; გემები დაუყოვნებლივ წავლენ აქედან.

**ტაკუ.** ჩინეთის წყაროების ცნობებით, იუშიკაის ჯარები გენერალი მეწის წინამძღოლობით სინანფუში მიდიან, რათა გამოაცილონ იმპერატორი პეკინში.

**კონსტანტინეპოლი.** სოლუნში კიდევ ატუსაღებენ. დატუსაღებულთა შორის არის წიგნებით მოვაჭრე ბოლგარელი სამარჯიევი, რომლის წერილები ხელში ჩაუვარდა მთავრობას. ატუსაღებენ მაკედონიის სხვა ქალაქებშიაც და დაბებშიაც ბოლგარებს და სჩხრეკენ იმათ სახლებს.

ის ხმა, ვითომც განზრახვა ჰქონდათ დინამიტით აეფეთქათ კონსტანტინეპოლში ოსმალეთის ბანკი,—მოკლებულია ყოველ საფუძველს.

ინგლისისა და რუსეთის ელჩები შეეცადნენ, რომ ოსმალეთის მთავრობამ მალე მოსპოს დიფერენციალური ტარიფი საბერძნეთის წინააღმდეგ.

**დეაარი.** უკანასკნელის ცნობებით, დევეტი და შტეინი უმთავრესი თავიანთი ჯარებით და გერცოგის რაზმით დაბანაკდნენ ორანჟეს მდინარეს სამხრეთ ნაპირზე და უცდიან დროს, როდესაც შეეძლებათ მდინარეზე გადასვლა, რომელშიაც ეხლა ადიდების გამო გასვლა არ შეიძლება.

**პეკინი.** დღეს დასრულდა პეკინ-შანხაიგუანის რკინის გზის გადაცემა ინგლისელი მოხელეების ხელში. ტონჯანის სახელოსნოები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე მოელოდნენ.

**კრადოკი.** მედლბურგიდან იუწყებიან, რომ პარასკევს, ღამით, ბურებმა ცეცხლი წაუკიდეს როოდეგოოგტის სადგურს როსმიდ-გრააფრეინეის რკინის გზაზე. მოხდა ძლიერი ბრძოლა; ბურები უკუ-ქცეულ იქმნენ. მოხდა აგრეთვე ბრძოლა ამავე რკინის გზაზე იაკპოორტთან.

**ვენა.** გრაციდან იუწყებიან, რომ მთავარი ბორისი კვლავ ავად გახდა; აღმოაჩნდა კუჭის სახადის ნიშნები.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტში გარდახდილ იქმნა პარაკლისი საერო განათლების მინისტრის მალე მორჩენის შესავედრებლად.

**ლონდონი.** სტანდერტონიდან იტყობინებიან, რომ ის ზარბაზნები, რომლებიც ხელში ჩაუვარდა ფრენჩს, ბურებს მიწაში ჩაეფლათ ინგლისელ არტილერისტებს ეპოვნათ, როდესაც ადიდებულ წყალში გადიოდნენ; იქვე იპოვნეს ბევრი სამხედრო მასალა.

პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ ლუი ბოტა გადვიდა დელაგოას რკინის გზის ლიანდაგზედ და მცირე ბანაკით სდგას ეხლა მედლბურგის ჩრდილოეთით. ის, ალბათ, მიდის რუსეოკალისაკენ, სადაც იმყოფება ბურების უმთავრესი შტაბი და მთავრობა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ რუსულ გაზეთ «ნოვოსტი»-ს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ლონდონიდან 10 თებერვალს: «აქ ამბავი მოვიდა, რომ გენერალმა ბოტამ ბევრი ინგლისელი ოფიცრები წაიყვანა ტყვედ და 6 ზარბაზანი, დიდძალი თოფი და სურსათი წაართვა ინგლისელებსაო».

✿ ინგლისურ გაზეთებს რომ დავუჯეროთ, ინგლისელი გენერლები სადაა ხელში ჩაიგდებენ ქრისტიან დევეტს. ინგლისელი ჯარები ამ მოჩვენება სარდალს დასდევენ ეხლა კაპის ახალშენში ისე, როგორც წინად დასდევდნენ ორანჟეს რესპუბლიკაში და ტრანსვაალში. ლონდონელ გაზეთების კაპშტადტელი კორესპონდენტები სწორედ რომ გასაოცარ დეპეშებს ჰგზავნიან შესახებ დევეტის გაჭირვებულ მდგომარეობისა: ჯარი აღარ ემორჩილება, ომი მოჰბეზრდათო, კაპის მცხოვრებლები მტრულად უხვდებიანო და სხვა და სხვა.

მაგრამ ამისთანა ცნობები არაა დასაჯერი. იმ ბურებს, რომლებიც დევეტის რაზმში იბრძვიან, გარდაწყვეტილი აქვთ სიკვდილამდე იბრძოლონ. ესენი უბრალო ჯარის კაცი—სალდათები—არ არიან, ისინი იბრძვიან თავიანთ სრულის ნებითა და სურვილით და არა ვისიმე ძალ-დატანებით. ამიტომ ამათ ურჩობაზე და ომისაგან გაბეზრებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სათქმელი არაა ისიც, ვითომ დევეტს ძალის მოხმარება და სასტიკი მოქცევა სჭირდებოდეს წესიერების დასაცველად თავის ჯარის კაცთა შორის.

მძიმე მოქცევა კაპის ბურებისა, რომლებიც, ეჭვი არ არის, დევეტს თანაუგრძნობენ, აიხსნება, ერთი ბელგიური გაზეთის აზრით, იმით, რომ კაპის ახალშენი თავზარდაცემულია ინგლისის სამხედრო წესებით. კაპელმა ბურებმა იციან, რომ თუ გაბედეს და აშკარად აჯანყდნენ, ინგლისელები მაშინვე იმათაც ისე უღიერად და გულ-ქვად მოექცევიან, როგორც მოექცნენ ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის ფერმერებს, ამიტომ ისინი რჩეობენ ისევ საიდუმლოდ დაეხმარონ დევეტსა და ბურების სხვა რაზმებს.

ინგლისური გაზეთების ცნობებს ეწინააღმდეგებიან ის ცნობები, რომლებიც გაგაში მოდის და რომლებიც მოყვანილია ფრანგულ გაზეთ «პარი ნუველი»-ში. როგორც ეს გაზეთი იუწყება, კრიუგერსა და იმასთან დაახლოვებულ პირებს ნამდვილი სწორე ცნობები მოსვლიათ ტრანსვაალისა და კაპის ახალშენის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ. ბურების მ გომარეობა სრულებითაც არა ყოფილა ისე უიმედო, როგორც ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ. რომ დევეტისათვის დაეშალა კაპის ახალშენში შესვლა და მოქმედება, კიტჩენერი იძულებული იყო დაებარებინა კაპის ოლქში ის რაზმებიც,

რომლებიც ბოტას წინააღმდეგ იყვნენ გა... ნილნი, და ამნაირად, ბოტას ეხლა შეუძლია სრულიად თავისუფლად იმოქმედოს ტრანსვაალის და პორტუგალიის საზღვარზე.

ლორდი კიტჩენერი ცხადად ჰხედავს, რომ იმ ჯარებით, რომელიც ამ ჟამად ჰყავს, ვერას გახდება დევეტსა და ბოტასთან და ბეჯითად თხოულობს ჯარების მიშველებას.

✣ დეპუტატთა პალატაში, ლონდონში, 6 თებერვალს ლიბერალმა ლოიდ ჯორჯმა მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ლიბერალური დასის დასაცველად. ინგლისის მთავრობა ცილსა სწამებს ლიბერალებს და იმ ბრალსა სდებს, ვითომც ესენი თავიანთი ქცევით ამხნევებდნენ და აქეზებდნენ ბურებს ინგლისთან საბრძოლველად.

«უნდა აგხსნათ ნამდვილად,—სთქვა ჯორჯმა—ვინ უფრო ამაგრებს, ამხნევებს და აქეზებს ბურებს ბოლომდე საბრძოლველად; ისინი, ვინც თხოულობენ, რომ ეს საქმე სამართლიანად იყოს გარდაწყვეტილი, თუ ისინი, ვინც, სამხედრო მინისტრივით, სულ ახალ-ახალსა, უფრო და უფრო სასტიკ და უღიერ ღონისძიებას ხმარობენ ბურების საწინააღმდეგოდ».

შემდეგ ჯორჯმა მოიხსენია ის უღიერობა, რომელიც, ინგლისის ჯარმა ჩაიდინა სამხრეთ-აფრიკაში, მოიხსენა ლორდ რობერტსის განცხადება № 20 და გენერალ ბრუხგამილტონის ქცევა. შემდეგ ჯორჯმა ილაპარაკა იმ ღონისძიებაზედ, რომელიც ინგლისელებმა იხმარეს მებრძოლ ბურების ცოლშვილის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ეს ღონისძიება მეტად უზნეო იყო, რადგანაც იმისი მიზანი იყო დაემშია დედაკაცები და ბავშვები და ამით ძალა დაეტანებინა კაცებისათვის, რომ თავიანთ წმიდა მოვალეობისათვის ეღალატნათ.

ამაზედ ბროდრიკმა უპასუხა, რომ ორატორისგან მოყვანილ ცნობებს არავითარი საფუძველი არა აქვთ და არავისგან დამტკიცებული არაა იმათი სიმართლე.

— ეს ცნობები დამტკიცებულია სამხედრო ცენზორისგან,—სთქვა ჯორჯმა—ყველა დეპეშა იმის ხელში გამოივლის ხოლმე. ეს ცნობები რეიტერის სააგენტოსგან არის გავრცელებული, მაშასადამე სამხედრო ცენზორისგანაა გასინჯული.

ამ დროს ჩემბერლენი გავიდა პარლამენტის დარბაზიდან. «ყველა ამ ტოლობის ჩამდენს სცხვენიან თავის ბოროტ მოქმედებისა!» დაიძახა ჯორჯმა.

შემდეგ ლიბერალმა ასკვიტმაც ილაპარაკა მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ მეტად თავდაჭერით კი. იმან, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა:

«ჩემბერლენი არჩევნების დროს, როგორც ეტყობა, ჰფიქრობდა, რომ ვისაც იმის პოლიტიკა სრულიად ბრძნულად და შეუცოდელად არ მიაჩნდა, ის უსათუოდ ინგლისის მტრების მომხრე უნდა ყოფილიყო».

შემდეგ ასკვიტმა სთქვა: «უნდა ვეცადოთ, რათა რაც შეიძლება მალე ბოლო მოუღოთ სამხედრო მთავრობას. უნდა პირდაპირ დავგმოთ ჩვენი ჯარებისაგან ფერმების დაწვა, რადგანაც ამით ჩვენ ბოროტებასა ვჩადივართ და თანაც ქვეყანას ვაოხრებთ და ვატიალებთ».

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში «ჟურნალ-გაზეთებიდანი»-ში შეცდომით დაბეჭდილია: «ბურების საქმე კაპის ახალშენში ახლა ისე ცუდად მიდის, როგორც ინგლისელები ამტკიცებენ;» უნდა იყოს: «არც ისე ცუდად მიდის»...

# ახალი ამბავი

✦ 15 თებერვლისათვის დანიშნული სხდომა ახალქალაქის მიწისძვრისაგან დაზარებულთა დამხმარებელის კომიტეტისა არ შესდგა, რადგანაც ორი წევრის მეტი არ მისულა კრებაზე. კომიტეტის თავმჯდომარე, ტფ. გუბერნატორი ბ. სკერინი აცხადებს, რომ მეორე კრება შესდგება ორშაბათს, 19 თებერვალს.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ბ. ფრეზე ეხლა განჯაში იმყოფება.

✦ ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება ქ. ტფილისის სამ საარჩევნო ნაწილად გაყოფის შესახებ უკვე მოსვლია ქალაქის გამგეობას.

✦ როგორც მკიხველებმა იციან, ტფილისის ქალაქის სკოლების გამგე-კომისიამ გაჰყო თავის წევრებს შორის ხსენებულ სკოლების ზედამხედველობა და თვალ-ყურის გდება. სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ პავლოვს უკანონოდ უცვნია კომისიის ეს დადგენილება და უთხოვნია ქალაქის თავისათვის მისი გაუქმება.

✦ მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ იქ ფერისცვალების ეკკლესიაში უგალობნიათ კლენოვსკის მიერ ნოტებზე გადაღებული ქართული საეკკლესიო საგალობლები. გალობა მეტად მოსწონებიათ, განსაკუთრებით ბ. სმოლენსკის, საეკკლესიო გალობის მცოდნე-სპეციალისტს.

✦ როგორც გვატყობინებენ, ბ. ნ. ნიკოლაძეს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს მეორე ტომი თავისი ქართული ნაწერებისა.

✦ მოსკოვიდან გვწერენ: „7 თებერვალს მოსკოვის უნივერსიტეტის ანატომიურს ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია ფარმაციის მაგისტრის ხარისხზედ ქართველმა პროვიზორმა კონსტანტინე ცომაიამ. ოპონენტებმა, რომელთა შორისაც იყვნენ პროფესორები ტიხომიროვი და ნეიდინგი, პროზექტორი მინაკოვი, საექიმო ფაკულტეტის დეკანის პროფესორის კლეინის თავმჯდომარეობით, იცვნეს შრომა ბ-ნის ცომაიასი მეტად საყურადღებოდ.

ბ-ნი ცომაია დამტკიცებულ იქმნა ფარმაციის მაგისტრად, რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშის-ცემითა და ვაშას ძახილით მიეგება.

ქართველ ფარმაცევტთა შორის ბ-ნი ცომაია მეორე მაგისტრია; იგი ჯერ სულ ახალგაზდა კაცია და თავის ამხანაგთა შორის ცნობილია, როგორც შრომის-მოყვარე და ნიჭიერი პირი“.

✦ იქიდანვე გვწერენ: „18 თებერვალს მოსკოვის ეტნოგრაფიული საზოგადოება გაჰმართავს კონცერტს, რომელშიაც ფართო ადგილი აქვს დათმობილი იმ ეროვნებათა სიმღერებს, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის ქვეშევრდომად. ქართულ მუსიკის გულ-შემატკივართა მეცადინეობით ზოგიერთ ქართულ სიმღერებსაც მოისმენს საზოგადოება. მოსკოველ ქართველ ახალ-გაზდობას განზრახვა აქვს შეადგინოს ქართული ხორო. ცხადია, ხოროს, შემდგარს ქართველებისაგან, უფრო ქართული ხასიათი ექნება, ვიდრე უცხოელებისაგან, რომელთაც ქართული სიტყვების გამოთქმა უძნელდებათ და მით რამდენადმე მაინც აფუჭებენ მუსიკალურს მხარეს სიმღერებისას“.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქართულ სახალხო წარმოდგენათა მმართველთ განუზრახავთ დიდ-მარხვაშიაც გამართონ წარმოდგენები სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე.

✦ ბათუმიდან გვწერენ: „22 თებერვლიდან ქ. ბათუმში დაიწყება გასტროლი ქუთაისის დრამატიული დასისა, რომელ... მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩხეიძე, ...ნიძე, გვეტაძე და მდივანი; ბ-ნნი ვ. ...ქსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, აწყურელი, ...ლანჩივაძე, ... ...ველი, წუწუნავა და სხვანი. ითამაშ... „ორ გმირს“, „ოტელოს“, „ცოხის დუმლოს“ და სხ.“

✦ კვირას, 18 თებერვალს, ვაჭ... სტაროსტის კამერაში მოხდება კრება ... ლისის 1-ლ და მე-2 გილდის ვაჭრებ... კრების საგანია: 1) განხილვა 1900 წ... ხარჯთ-აღრიცხვისა, 2) არჩევა სარევიზიო... მისიის წევრებისა, 3) არჩევა ერთის სტა... სტისა და ორის თანაშემწესა, 4) არ... ორის წევრისა და ერთის კანდიდატისა... ხაზინო პალატის საკრებულოში და 5) ... ჩევა წევრებისა ხარჯების გამწერ 1-ლ... მე-3 საკრებულოებში.

✦ საადგილ-მამულო და საიჯარაო გ... სახადთა გამწერ საგუბერნიო საკრებუ... 13 და 14 თებერვალს დაამტკიცა ახალ... ხისა და თელავის მაზრებში გაწერილი ... დასახადები. ახალციხის მაზრაში გაიწ... საადგილ-მამულო გადასახადი 6506 მან., ... იჯარო 23.654 მან.; თელავისაში—სა... გილ-მამულო 7413 მან., საიჯარო ... 39.203 მან.

✦ გუშინ, 16 თებერვალს, გამგეობის წ... მა თ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა ტფილ... ქალაქის გამგეობას, რომ, წინააღმდეგ ხ... შეკრულების მე-2) მუხლისა, ტრამვაის ... ხელო საზოგადოებას ჯერაც არ წარმო... გენია გამგეობისათვის დაწვრილებით შ... შავებული პროექტი ელექტრონის ტრამვაი... გამგეობამ, თანახმად ხსენებულ ხელ-შეკ... ლების მე 45 პარაგრაფისა, დაადგინა გა... ხდევინონ ტრამვაის უსახელო საზოგადო... ყოველ დაგვიანებულ დღეში (ვადა ... 3 თებერვალს) ოც-ოცი მანეთი და პირ... დადგენილებისა გაეგზავნოს ხსენებულ ... ზოგადოების წარმომადგენელს ბ. რობის...

✦ 15 თებერვალს, სასანიტარო-საე... საბჭოს ჰქონდა სხდომა, რომელზედაც ... ადგინეს: მარიამ მაგდალინას თავ-შესაფ... დაარსება ტფილისში სასურველია, მაგ... რადგანაც ამისთანა დაწესებულებებს ყვ... გან საქველ-მოქმედო დაწესებულებანი აა... ბენ და ინახავენ, ამიტომ ქ. ტფილისმა თა... თავზე უნდა მიიღოს მხოლოდ საქმის ...

# ფელეტონი

## ბათუმის დღევანდელი ჟამთა სიავე

ბათუმის 13 თებერვლის სხდომა საბჭოსი სწორედ სამახსოვრო და ღირსშესანიშნავი იყო. ყველა მოელოდა ამას და ამიტომაც შეკრებილ ხმოსანთა რიცხვი ჩვეულებრივზე მეტი იყო და გარეშე ხალხიც ძალზე მეტი მოაწყდა საბჭოს დარბაზს.

დაიწყო სხდომა, რასაკვირველია, ჩვეულებრივ, წინანდელ სხდომის ოქმის წაკითხვით. მღ. ს. თოთიბაძემ ითხოვა შეტანილ ყოფილიყო გამგეობის წევრათ ყოფილ ბ. ივანოვისაგან ნათქვამი, რომ იგი თავის არჩევანს არ აკავშირებდა იმ კომისიის მოხსენებასთან, რომელიც შეეხებოდა ბაღსა და ბულვარს. შენიშვნა იქმნა შეტანილი ოქმში, და მკითხველსაც ვთხოვ ყურადღება მიაქციოს ამას და ეგ გაიხსენოს, როცა ქვევით ლაპარაკი გვექნება ბ. ივანოვის შესახებ.

პირველი საქმე შეეხებოდა ისევ ბაღისა და ბულვარის რევიზიას. რევიზიამ ბევრი რამ უცნაური ამბები აღმოაჩინა. საბჭომ გადასწყვიტა ჯერ მოესმინა იმ პირების თავისმართლება, რომელთაც ეგ საქმე ეხება, თუმცა, ზოგიერთების (ხმ. გრიელსკი, ბოგოსლოვსკი და პალმი) აზრით, საჭირო არ იყო ეს თავისმართლება, რადგან ვითომ ჩიტი ბღლვნათ არა ღირსო.

მჭერმეტყველური შესავალის შემდეგ ბ. ივანოვმა აუწყა საბჭოს (განმარტება დაწერილია და მისგანვე იკითხებოდა), რომ კომისიას სრულიად არა ჰქონებია მინდობილი რევიზია მისი მოქმედებისა, როგორც ბაღისა და ბულვარის ზედამხედველ გამგეობის წევრისა, რომ მან (კომისიამ) გადააბიჯა უფლებას და შეუდგა მისი მოღვაწეობის ჩხრეკას და მოისურვა გაეცნო ის, რაც არ უნდა ეცნობებინაო, ე. ი. რას ვაკეთებდი ამ საქმეში, თუ ჩემზე მონდობილ ბაღსა და ბულვარს წესიერად ვერ განვაგებდი, იმიტომ რომ მებაღე არა ვარო და მებაღეობა არ შემისწავლიაო. კომისია ბრალს სდებდა ბ. ივანოვს, რომ მას წაღებული აქვს ბაღიდან მცენარეები და ფული დღემდის არ გადაუხდიაო; ამაზე ბ. ივანოვმა განუმარტა საბჭოს, რომ ანგარიში არავინ წარმომიდგინაო და ამიტომაც არ გადამიხდია ფულიო. მცენარეები კი ორი წლის წინად არის წაღებული. მაგნოლიების შესახებ ბ. ივანოვმა განაცხადა, რომ თუმცა მებაღე წინააღმდეგი იყო ფული გადაგვეხადა იმ მაგნოლიებში, რომელნიც დალფონსისაგან იყო წამოღებული და გახრდნენო, მაგრამ ულმერთობა იქნებოდა 200 მანეთის მაგივრად მხოლოდ 50 მანეთი მიგვეციო, თუმცა პირობა იყო, რომ დალფონსს მხოლოდ სალ მაგნოლიებში აეღო ფული. იმის შესახებ, რომ მებაღეების გამოცვლის დროს იგი არ შედიოდა იმის გამოძიებაში, თუ რას აბარებდა ძველი მებაღე ახალს, ბ. ივანოვმა აუწყა საბჭოს, რომ მისგან ამ დროს დასწრება ან გარევა საჭირო არ იყო, რადგან თვით სახელმწიფო უწყებებშიაც ეგევე წესი არისო. ბაღიდან ძვირფასი მცენარეთა კერძო პირებზე დარიგების შესახებ ბ. ივანოვმა განმარტა, რომ, მართალია, რამოდენიმე პირებს გაეგზავნათ მცენარეები, მაგრამ თუ გნებავთ, ეხლავე დაგვიბრუნებენო ანა და ფულს გადაგვიხდიანო. რაც შეეხება იმ ფულებს, რომელიც, კომისიის სიტყვით, ბ. ივანოვს წამოღებული აქვს ბაღიდან და გამგეობაში არ წარმოუდგენია დღემდის, ბ. ივანოვმა პირდაპირი პასუხი ამაზე არ მისცა საბჭოს და მოჰყვა, რომ საუფლისწულო უწყებასთან მცენარეების გაცვლა-გამოცვლა გვქონდაო, მაგრამ სამასი მანეთის საღირალი მცენარეები იქიდან წამოღებული კი ბაღში თურმე არსად სჩანს და არც უნახავთ ვისმეს. დაასრულა ეს ყოველივე ბ. ივანოვმა და ისევ კომისიას დაუბრუნდა და ბრალსა სდებდა, რომ კომისიამ განგებ შეადგინა ჩემს წინააღმდეგ ოქმიო, რათა ეფექტი მოეხდინაო და ჩემი თავი სხვანაირად დაენახვებინა თქვენთვინო. ჩამოვარდა მკაცრი სიჩუმე. ხმ. გრიელსი რაღაცას ტკბილად შეეკითხა ბ. ივანოვს. შემდეგ ზოგიერთებმა მოითხოვეს მებაღისაგან შემოტანილი განმარტებანი წაკითხულიყო, მაგრამ ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ ეგ დღეს საჭირო არ არისო.

სხდომის ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ საბჭო შეუდგა გამგეობის წევრის არჩევანს. საკვირველი ამბავი მოხდა ამ არჩევანზე. ხმები დადიოდა, რომ წინა სხდომაზედ გაშავებული ბ-ნი ივანოვი ისევ დაიდგამს ყუთსაო. აქაური გაზეთი, რომელიც მეტად გულისობდა და ილანძღებოდა ივანოვის გაშავების გამო და არწმუნებდა მკითხველთ, რომ კენჭის ყრა განგებ იდებოდა, რომ ზოგიერთი ხმოსნები ბათუმიდან გასულიყვნენ, ამრ... ყველამ თავი მოიყარა; ბ-ნ ივანოვისაგან ზ... მოყვანილი თავის გასამართლებელი გან... ტებანიც ეუწყა საბჭოს და დაიმედებულმა ბ... ივანოვმა ხელ-ახლად დაიდგა ყუთი. მე... კანდიდატი იყო ბ-ნი მარკევიჩი, აქაური ტ... მოხელე. ჰყარეს კენჭი; ივანოვმა მიიღო ... ლა 22 შავი (წინანდელ სხდომაზედ კი ... და 14 თეთრი (წინად კი 15). ბ-ნმა მა... ვიჩმა მიიღო 25 თეთრი და 11 შავი.

ეხლა, როცა გაგებინებთ, რომ საზოგა... ება მეტად გაბრაზებული იყო, რომ ბ-ნი ... ნოვი პალმთან და გრიელსკისთან ერ... ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი ... მსხვერპლი „ქუთაისის ბულვარის ფილია... რი განყოფილებისა“, წარმოიდგინეთ— იგრძნობდა საზოგადოება ამ ხელ-მეო... გაძლიერებულის გაშავე'ის შემდეგ. ამ ... ჰის ყრით ბევრი რამ გამოირკვა და უ... ვედეს ყოვლისა, რასაკვირველია, საქ... ლი აქაურის გაზეთის «Черноморскій В... НИКЪ»-ისა და მისი რედაქტორისა, ... რეტტის ბუფონად ნამყოფის ბ-ნის ... მისა, რომელიც ამ ჟამად ხმოსნად ბძან... ბათუმის ქალაქის საბჭოში, სადაც იგი ... ბძანეს იმიტომ, რომ უფრო ახლოს ყ... ლიყო ქალაქის საქმეებთან და სიმართლ... მოეტანა თავის გაზეთის ფურცლებზე, მა... ნათქვამია: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცე... და ხმ. პალმს, თუმცა იგი ხმოსანია და ... ვრობს «Зеленый мысъ»-ზე *), თავისი ... ისევ «Зеленый Островъ»-ზე ჰგონია და ... თოჩს და ართობს ბათუმელებსაც და გ... შეთაც უცნაურის ამბებით. მას და...

*) საგარაკო ადგილია ბათუმის მახლობლად...

...ატივა და დაარსების შემდეგ ...წიოს ...ველ წლიურად.

✦ გუშინ ტფილისზე გაიარა ბათუმში მავალმა საგანგებო მატარებელმა, რომელშიაც 800 მაჰმადიანი იყო, მექაში სალოცავად გამგზავრებული რუსეთის სხვა და სხვა ...გილებიდან.

✦ ჩვენ მოგვივიდა ბ. იაკობ გოგებაშვილის წიგნი „კონა პირველ დაწყებითი ...თხრობებისა ბუნების მეცნიერებიდან“, ...უთე სურათებიანი გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეოთხე გამოცემიდან, ...მელიც მოწონებულ იქმნა სახალხო განათლების მინისტრისა და უწმ. სინოდის ...ერ სკოლებში სახმარებლად. ეს წიგნიც ...ტივცემულს ავტორს შეუწირავს წერა...თხვის საზოგადოებისათვის. ფასი დაკლებულია: ყდით ღირს ექვს შაურად.

✦ ქ. ტფილისის ლაბორატორიაში წარსულის წლის განმავლობაში სულ მოუხდეიათ 2422 გამოკვლევა, ამათგან—2100 ...ამხი ყოფილა და 322 სხვა ანალიზი. ...ინტერესოა ზოგიერთი ფაქტები ამ გამოკვლევათაგან: 47 გამოსაკვლევ ერბოდგან 18 უვარგისი გამომდგარა. 16 წარმოდგენილ ფქვილისაგან თითქმის ყველა (87%) ...რ ვარგებულა. საკონდიტერო ნაწარმოებზე ნურას ვიტყვით: სპილენძი, გაფუჭებული კრემი, მავნებელი სალები ნივთიერებანი ერთობ ხშირია მათ შორის. რაც შეეხება საჭმლისა და სასმელის ანალიზს, 32,1% მათ შორის ცუდი გამომდგარა.

✦ რადგანაც ავლაბარში, ტფილისის ყაზარმების ახლო, ქალაქს საკუთარი ადგილი ...რა ჰქონია, ამიტომ ქალაქის მოურავმა შეატყობინა საინჟენერო უწყებას, რომ ქალაქს, საუბედუროდ, არ შეუძლიან დაუთმოს მას ადგილი იმ ადგილის ნაცვლად, რომელიც ხსენებულმა უწყებამ დაუთმო იოანე ღვთისმეტყველის ეკკლესიას.

✦ 15 თებერვალს, ნაშუაღამევის 2 საათზედ, ცეცხლი გაუჩნდა—ზუბალაშვილის, თამამშევის და იეგენსონის ქარვასლას პოლიციის მე-VIII ნაწილში, ავლაბრის ორხიდ შუა, მტკვრის ნაპირს. ცეცხლი გაჩენილა სარდაფში, სადაც იმყოფებოდა რკინეულობისა და თოკების საწყობი რევაზოვისა. იმ დროს, როცა ცეცხლი პირველ სართულში ამოდიოდა, გაიგეს და ცეცხლის მქრობელ რაზმს შეატყობინეს, ცეცხლი დილით 5 საათზედ უკვე ჩამქრალი იყო. დაზარალდა რევაზოვი და რამდენიმე წვრილი მედუქნე. პირველის ზარალი რამდენიმე ათას მანეთს აღემატება.

ცეცხლის დროს ერთი უბედურება მოხდა. მტკვარში გადავარდა ვიღაცა უცნობი კაცი და დაიხრჩო. დამხვრჩალის გვამი მეთევზეებმა დაიჭირეს გუშინ, დილის 10 საათზედ, და ანატომიურ თეატრში გაგზავნეს.

✦ სადგურ ბოსლევიდან იტყობინებიან: №-311 მუშა მატარებელში 15 თებერვალს ცეცხლი გაუჩნდა ლოკომოტივის შემდეგ პირველ ვაგონს, რომელშიაც იყო საქონლის საკვები ბალახი, ნავთი და ღვინო. მატარებელი გააჩერეს და ცეცხლი ჩააქრეს. დაიწვა 21 ფუთზე მეტი ბალახი, ბრეზენტი და ვაგონის უკანა კედელი. ცეცხლის მიზეზი ლოკომოტივის ნაპერწკალი იყო.

✦ სადგურ ყვირილაზე 15 თებერვალს მეორე ლიანდაგზე იპოვნეს გაჭყლეტილი სამუშაოდ მოსული ერმალო ბერიძე. თუ რათ მოხვდა მატარებლის ქვეშ, ჯერ არ იციან.

## ქალაქის საბჭო

15 თებერვალი

სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზედ, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით; დაესწრო 27 ხმოსანამდე. წაკითხულ იქმნა წარსულ სხდომის ოქმი, რომელიც ასე თავდება: აგჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერების განცხადება საბჭომ ვერ დაამთავრა იმის გამო, რომ საბჭოდან ხმ. ბაბოვი წავიდა, რის გამოც საბჭოში ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ დარჩა; აღნიშნა რა მწუხარებით მოურავმა ეს ინციდენტი, დახურა სხდომათ.

ხმ. ბაბოვი. გიორგი გრიგორიჩ! ეს რომელ ინციდენტზედაა აქ ლაპარაკი?

ქალაქის მოურავი. თქვენ რომ უდროვო დროს საბჭოდან წახვედით.

ხმ. ბაბოვი. მე სწორედ არ მესმის, ეს რა ინციდენტი იყო, რომ მე საბჭოს საქმის მწარმოებელს გარდავეცი თქვენს შესატყობინებლად, მე შეუძლოდ ვარ და შინ მივდივარ მეთქი, ოქმში კი სიტყვა ინციდენტით აღგინიშნავთ, რომ მე ვითომც განზრახ, რაიმე მოსაზრებით წავსულიყო საბჭოდან. მე წინააღმდეგობას ვაცხადებ.

ქალ. მოურავი. წარსულ სხდომაზედ საბჭომ ვერ მოასწრო აგჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა განცხადების განხილვის დამთავრება; სხვათა შორის, ზოგიერთმა ხმოსნებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ ეს განცხადება ხელმეორედ დაწვრილებით განგვეხილა ისევ გამგეობაში და ამიტომაც მოწვეულ იქმნა შეერთებული სხდომა გამგეობისა და კომისიისა, რომელიც ახალს გარდაწყვეტილებაზედ დაადგა და ახლა ეს გარდაწყვეტილება მოგხსენდებათ და ის განვიხილოთ. ამის შემდეგ გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა გამგეობისა და კომისიის შეერთებულ სხდომის დადგენილება, რომლის შინაარსიც გუშინ გავაცანით ჩვენს მკითხველებს. დადგენილებამ კარგა ხნის კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის; ხმოსანმა დოლუხანოვმა განაცხადა, რომ უკეთესი იქნება ერთ ჟამიერ მივიღოთ ქალაქის სასარგებლოდ 74,125 მანეთი, რაზედაც კონცესიონერები უკვე თანახმაც არიანო. ხმ. ბაბოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ გამგეობამ დამატებითი ხელშეკრულობა უნდა შეიმუშაოს ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან და რომ ბევრი არ იქნება კონცესიონერებს მოვთხოვოთ ქალაქის სასარგებლოდ 100,000 მანეთი, რადგანაც იგინი უსახელო საზოგადოებისაგან 800,000 ფრანკს დებულობენო. ხმ. თაიროვი ეთანხმება ბაბოვს და აცხადებს, რომ ჩვენ მაშინ უნდა შევიმუშაოდ დამატებითი პირობა, როცა ბელგიის უსახელო საზოგადოება და აგჭალის ქუჩის რკინის გზის კონცესიონერები შეთანხმდებიანო. ხმ. კ. ალიხანოვი აცხადებს, რომ მე წინააღმდეგი ვარ კონცესიონერებისაგან ერთ ჟამიერ ფულის მიღებაზედაო. კარგა ხნის კამათის შემდეგ, საბჭომ დაადგინა: ნება დაერთოს კონცესიონერებს გადასცენ აგჭალის ცხენის რკინის გზა უსახელო საზოგადოებას, რაისათვისაც უნდა დარდაიხადონ ქალაქის სასარგებლოდ კონცესიის ხნის განმავლობაში დადებული გარდასახადი ისე, რომ ყოველ წლობით თანდათან 2,000 მანეთი უმატონ, რაც 30 წელიწადში სულ შეადგენს 125,310 მანეთს. ამ გარდასახადების უზრუნველ საყოფელად კონცესიონერებმა უნდა წარუდგინონ ქალაქის გამგეობას 200,000 ფრანკად ღირებული აქციები გირაოდ იმ დრომდე, ვიდრე სრულად გარდიხდიან აღნიშნულ ფულს: ამასთანავე კონცესიონერებმა უნდა წარუდგინონ ქალაქის გამგეობას გირაოდ 50,000 ღირებულობის სარგებლიანი ქაღალდები, ვიდრე შეუდგებოდნენ მოლაპარაკებას უსახელო საზოგადოებასთან გზის გადაცემის შესახებ, რომლის შემდეგაც უკანვე მიიღებენ გირაოს. აგჭალის ცხენის რკინის გზა გარდაეცემა უსახელო საზოგადოებას იმ პირობებით, რომელნიც აღნიშნულნი არიან 1900 წლის ხელ შეკრულობაში, მხოლოდ შეტანილ იქმნებიან საქმის გარემოების და მიხედვით ზოგიერთი ცვლილებები.

ხმ. ბაბოვი. მე ვათხოვ ...ცნო უარყოფ... ჩემს წინადადებას იმის შესახებ, რომ აგჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერებმა უნდა შემოიტანონ გირაოდ 11,000 მანეთი და თუ მათი შეთანხმება არ მოხდა უსახელო საზოგადოებასთან, გირაო ქალაქის სასარგებლოდ დარჩესო. საბჭომ ხმის უმეტესობით უარ ჰყო ხმ. ბაბოვის წინადადება.

ხმ. ბაბოვი. მოურავს. გთხოვთ განმარტოთ, ნახევარს ხმოსნებს არც კი გაუგიათ, რაშია საქმე.

ქალ. მოურავი. ხმოსანო ბაბოვო, გთხოვთ აქ ბრძანებას ნუ დაგვიწყებთ.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილ ამა 1901 წლის შემოსავალ გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. მოურავის წინადადებით, საბჭომ თითქმის ერთ ხმად დაადგინა განიხილოს ხარჯთ აღრიცხვის მხოლოდ ის მუხლები, რომლებმაც ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიას შორის გამოიწვია აზრთა სხვა და სხვაობა. დაიწყეს თუ არა ხარჯთ აღრიცხვის კითხვა, აღმოჩნდა, რომ საბჭოში უკვე ხმოსანთა კანონიერი რიცხვი აღარ იყო და ამიტომ სხდომა შემდეგ დროისათვის გადაიდო.

## პროვინცია

**ქ. ბათუმი.** არა სცხრება შავი ზღვა!. ამ დღეებშიაც არა ჩვეულებრივი ღელვა იყო. ტალღები ნაპირებს გადავიდნენ და ბულვრის ზოგიერთი ნაწილიც აქა იქ წალეკა და გაათუჭა აგრეთვე ეგრედ წოდებული «სავლოსიპედო სავარჯიშო ადგილი. გემი» დიდი მთავარი კონსტანტინე», რომელიც ორშაბათს საღამოთი უნდა მისულიყო, მხოლოდ სამშაბათ საღამოთი მოვიდა.

ეს ერთი კვირაა, რაც დიდ ძალი ხალხი (თათრები) მოდის იმიერ კასპიის ზღვის მხრიდან. ესენი მიემგზავრებიან მექაში სალოცავად და აქ ჩერდებიან რამდენსამე დღეს, რადგან გემებს ელოდებიან წასასვლელად. ერთმა უცხოეთის გემის («ავტრიის ლოიდის») საზოგადოებამ 8 ათასი მანეთის ბილეთები გაჰყიდა თათრებზე!...

დიდი ხნის ლოდინი შეუსრულდათ ბათუმელებს. უკვე დაამთავრეს ქუჩების ელექტრონით

---

...წყდა, რომ იგი ხმოსანია და თავის ამხანაგთა წინაშე პასუხის მგებელია; დაავიწყდა, რომ ამხანაგთა სამართალი არსებობს ქვეყანაზედ და მოჰყვა და მოჰყვა თავისებურად, როგორც სჩვევია; მოჰყვა ათასნაირ სისაძაგლეს, როცა ხელზედ დაიხვია ბ-ნის ივანოვის პირველი გაშავება. ხმოსან პალმის რწმუნებით ბ. ივანოვი, კაცი განათლებული, დაშორებული პარტიულ მიკერძებას, რომელი არ ეძებს მედუქნეთა შორის („среди кабатчиковъ“) სხვებსავით სახელის შეძენას; რომელიც, რაც უმთავრესია, „ქუთაისის ბულვარის არა თანამორწმუნეთა“ არ მოსაწონი ხერხების ხმარებით გაძევებულ იქმნა გამგეობიდან 19 კაცისაგან; რომ გამგეობა განგებ სდებდა არჩევანის დღის დანიშვნას, რადგან უცდიდა მურომოვის სამსახურიდან დათხოვნას კიევის სამრეწველო ბანკიდან და შემდეგ ბათუმიდან წასვლას, ექიმის გუნდრიზერის გადაყვანას ციმბირში, უდარაჯებდა ხმოსან კ. სევერინის სიკვდილს, ხმ. პეშეკეროვის, პარუნბეგოვის, პოდოლეცკის, პოლსკის წასვლას და როცა ეს ყოველივე მოლოდინი აუსრულდა, მაშინ დანიშნა არჩევანიო, რადგან დარწმუნებული იყო გააშავებდა, და ზედ დაურთო ბავშური და ბრიყვული ოქმი ბაღისა და ბულვარის რევიზიისაო (ეს ყოველივე აგრე ეწერა ხმოსან პალმის გაზეთში), და კიდევაც გააშავესო. პალმს განუმარტეს, რომ ბ. ივანოვს სამსახურის ვადა მხოლოდ 20 იანვარს დაუსრულდა და არჩევანი 29 იყო დანიშნული. ხმ. პალმა თუმცა დაბეჭდა თავის გაზეთში ეს განმარტება (ბ. მესხისა), მაგრამ თავის მხრივ უპასუხოდ დასტოვა და დღემუდამ გაიძახოდა, რომ ბ. ივანოვი გააშავეს „ქუთაისის ბულვარის ფილიალურ განყოფილების“ აქაურმა წევრებმაო.

ამგვარები კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ხმოსანი პალმი არ შეეკავებინათ. წრეს გადასული ხმოსანი თავის უსაქციელობაში უნდა ალაგმულიყო, და აი სწორედ ამ მიზნით ხმ. კარლო ჩხეიძემ განცხადება შეიტანა საბჭოში ყოველივე ზემო აღნიშნული უსაქციელობის შესახებ.

განცხადებაში აღნუსხულია ყოველივე უსაქციელობა, უსინიდისო დაწამება-დაბრალება ისეთი საქმეებისა, რომ მხოლოდ უგუნურ და ზნეობა მოკლებულ კაცს შეუძლია იმათი გამოთქმა. ხმ. კ. ჩხეიძემ ბოლოს დასძინა, რომ ამაების შემდეგ საბჭოს ყურადღებას იმაზედაც მივაქცევო, თუ რამდენათ მოსახერხებელია ხმოსან პალმისთვის ყოფნა იმ ხმოსანთა შორის, რომელნიც, მისის სიტყვით, პატიოსან კაცს ვერ გუობენო და ხასიათის სისუსტეთ მედუქნეთამდი მიდრეკილება სდევთო.

ბუზის გაფრენას გაიგონებდით, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა დარბაზში, როცა მდივანმა ამ განცხადების კითხვა დაათავა. ზეზე წამოდგა ხმ. ბოგოსლოვსკი. მას აკვირვებდა ამ საგანზედ აქ სიტყვის ჩამოგდება. გაზეთის რედაქტორი თავისუფალია, რაც უნდა ის ილაპარაკოს და თუ ვისმეს რამე სწყენიაო, ამისათვის სასამართლო არისო; ოღონდ ტყვილა დროს გვაკარგვინებენო რაღაც ბავშვურ ნაწერების კითხვის მოსმენითაო. პასუხად ხმოსანს მოახსენეს, რომ აქ რედაქტორს არავინ ეხება, აქ ხმოსნებს სთხოვენ თავიანთ შორისვე მყოფი ხმოსნის საქციელი გაარჩიონ, რადგან მას (საქციელს) უმართებულობისა, უზნეობისა და უსინიდისობის ელფერი სდევსო. არ შეისმინა ეს ხმ. გრიელსკიმ, რომელმაც იგივე თქვა, რაც ბოგოსლოვსკიმ. კვლავ სიჩუმე. ხმ. პალმი ეძებს მშველელს, მაგრამ ამაოთ. ხმას აღარავინ იღებს; ყველა მას მისჩერებია გაკვირვებულნი, რომ ეს კაცი სხვის იმედით აპირობს ფონს გამოსვლას. იმედ მოხდილი, რომ მისთვის თავს აღარავინ შეიწუხებდა, წამოდგა ხმოსანი, კარანდაშით ხელში და მორიგი სხდომის საქმეთა სიით, მოითქვა სული და ბრძანა ისე, როგორც მხოლოდ მას შეუძლიან, პრანჭვაგრეხითა და ვითომ და ხალისიანათ; ბრძანა, რომ თუმცა ქალაქის დებულების ამა და ამ მუხლების ძალით საბჭოს არა აქვს ნება მსჯელობა იქონიოს გაზეთზე, მაგრამ იგი მოხარულია, რომ საბჭო პატივს სცემს ბეჭდვით სიტყვას და მასაც და, კანონის მიუხედავად, მაინც აპირობს გაზეთზე მსჯელობა იქონიოს; ამ სიხარულის გამოცხადების შემდეგ, ხმოსანმა ვერ შეიძლო დაეფარა, რომ სიაში იმ ადგილას, სადაც მოხსენებულია მეოთხე საქმე, ი. ი. მისი საქმე, მან გრამატიკული შეცდომა იპოვნა, რაც განათლებულმა ხმოსანმა იქვე გაასწორა და განმარტა, რის შემდეგ მოისვენა და ჩაჯდა, ალბათ, დარწმუნებულია, რომ აქაც, როგორც წინეთ ოპერეტტაში, მასხარობით გაიტანდა საქმეს, ან და, შეიძლება, გრძნობდა, რომ გასანძრევი ღონე აღარ ჰქონდა. საერთო გაოცება და შემდეგ კვლავ სიჩუმე. ხმ. ბოგოსლოვსკიმ და გრიელსკიმ მოითხოვეს გამგეობის აზრის გაგება საქმის შესახებ; ესევე მოისურვა ხმ. პალმმაც. ქალაქის თავმა განაცხადა, რომ რიგიანობა მოითხოვსო, როცა კაცს ბრალად სდებენ ყოველ იმას, რაც ხმ. ჩხეიძის განცხადებაშია მოყვანილი, მან თავის ამხანაგებს სწორი პასუხი გასცესო და არა კანონის მუხლებს ეფარებოდესო. შემდეგ დადგეს ყუთი იმის გადასაწყვეტად, თუ რა აზრის არის საბჭო ხმ. პალმის ქცევის შესახებ: გასაკიცხია იგი როგორც ხმოსანი, თუ არა. ბევრი იყვირეს ხმ. ბოგოსლოვსკიმ და გრიელსკიმ, რომ ეგ არ შეიძლებაო, მაგრამ კენჭი ჰყარეს. 34 ხმოსანში 25-მა გასაკიცხათ აღიარა საქციელი პალმისა, როგორც ხმოსნისა. ხმ. გრიელსკიმ უარი სთქვა კენჭის ყრაზე და გათავებისას გაიძახოდა, რომ ნუ გეშინიან... დაგირღვევენ განაჩენსაო. ცხარობდა ბოგოსლოვსკიც და ჰკიცხავდა ყველას. მაგებოდა რედაქტორ პალმს და ახ... იკარებდა იმ გარემოებას, რომ პა... კიცხა, როგორც ხმოსანი, ხმოს... რებელ და უკადრის და ზნეო... საქციელისათვის. ამან გა... მიმავალ ხმოსანთა შორის ... პარაკება და საქმე გათა... მიხ. ნაკაშიძემ ორჯ... მასთან შელაპარაკებ...

ასე დათავდა ბ... ლად სამახსოვრო... პალმი ბევრს ... ტყვას სდევნ... მისგან ახა... რებ, იგი თავის ა...

განათების საქმე და გუშინ საცდელათ აანთეს ელექტრონის მანქანები; თუმცა ზოგიერთი მანქანა ჯერ მოუწყობლობის გამო გაქრა, მაგრამ, მაინც სწორეთ პატარა სამთავროს წარმოადგენდა ბათუმი ამ რიგათ განათებული!..

ტრ. ი—მე

## სასამართლო

გუშინ, 16 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო საქმე ქუთაისის მაზრის, სოფელ მათხოჯის მცხოვრების გიორგი მახარობელის ძის მელაძისა, რომელსაც თავის ბიძის, მღვდლის იოანე გიორგის ძის მელაძის, ცრუ დაბეზღება ჰბრალდებოდა. საქმის გარემოება შემდეგია: ს. მათხოჯის მღვდელს, იოანე მელაძეს, რომელიც სიყმაწვილეშივე დაქვრივებულა, მთელი თავისი ყურადღება მიუქცევია თვისი ძმისწულის მათე მელაძისათვის, რომელსაც კიდეც მიჰკედლებია და დაუწყვია მასთან ცხოვრება. მღვდელს რომ შეუტყვია, მათეს ოჯახობა მას კარგად ექცეოდა, გარდაუწყვეტია მთელი თავის კეთილშენაძენი სიმდიდრე მისთვის დაემტკიცებინა სიცოცხლეშივე. ეს რომ მღვდლის სხვა ნათესავებს შეუტყვიათ, ამხედრებულან მის წინააღმდეგ და ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ, რომ იგი შეეწუხებინათ; ერთს ამ ნათესავთაგანს, გიორგი მელაძეს, 14 აგვისტოსა და 17 ოქტომბერს შეუტანია ქართლ კახეთის სინოდალურ კანტორაში საკუთარ ხელ მოწერილი განცხადება, რომელშიაც ამხილებდა მღვდელს, ვითომც იგი ჰყვარობდა თვის ძმის ცოლს, რომელსაც განცხადებაში გიორგი «იროდიადის» სახელით აღნიშნავს. თვის პირველ განცხადებაში, სხვათა შორის, გიორგი მელაძე სწერდა თურმე: «ღმერთო, დაიფარე ეს ქვეყანა, რომელიც ბოროტებაში ძევს ასეთის ეკკლესიის მსახურთაგანო»; ხოლო მეორე თხოვნაში: მე ვამტყუნებ მღვდელს იოანე მელაძეს იმ ცოდვებში, რომლებიც ჩაიდინა იროდმა იროდიადასთან ერთად; იმავე განცხადებაში ყოფილა აღნიშნული, რომ ვითომც მას ენახოს მღ. ი. მელაძე შვილიშვილთან იდლითთან. სასულიერო მთავრობის განკარგულებით, ეს საქმე გამოუძიებია მღ. პლატონ ცაგარეიშვილს, რომელისათვისაც ბრალდებულს, როგორც საქმიდან სჩანს, განუცხადებია, რომ მე ტყვილად დავასმინე მღვდელი იოანე მელაძე და არც შემიძლიან დავამტკიცო ჩემი განცხადებებით; პასუხის გებაში მიცემულ გიორგა მელაძეს გამომძიებელთან განუცხადებია, რომ იგი დამნაშავე არა არის, რომ მისი განცხადებანი სიმართლეს არ არიან მოკლებულნი, ხოლო მას არ უთქვამს სასულიერო გამომძიებელისათვის, რომ მისი საჩივრები ტყუილი გამოგონებაა და სხვ. ამასთანავე ბრალდებულს ისიც განუცხადებია, რომ მე იმიტომ უარვყავი დამემტკიცებინა ჩემგან სინოდალურ კანტორაში განცხადებული, რადგანაც ვიფიქრე, რომ მღვდელი მე პასუხის გებაში არ მიმცემდა. ზოგიერთ მოწმებს განუცხადებიათ, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცით, რომ გიორგი მელაძეს უარი განეცხადებინოს სასულიერო გამომძიებელთან თავის განცხადებაზედაო. ოლქის სასამართლოში ბრალდებულმა თვისი ჩვენება გამომძიებელთან გაიმეორა და სთქვა, რომ მე ამ საქმეში არავითარი დანაშაულობა არ მაქვსო. სასამართლოში ჩვენება ჩამოერთვა მოწმეს ბესარიონ მელაძეს, რომელმაც, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ჩვენ შერიგება მოვინდომეთ ბრალდებულისა და მღვდლისა, რომელმაც კიდეც მისცა გიორგის 85 მანეთამდე, მხოლოდ არ ვიცი კი რატომ; აღბად, თუ იმ განზრახვით, რომ გიორგი მელაძე'ს საქმე მოესპო. ბრალმდებლის ამხანაგმა ბ ნმა ტარსაიძემ ითხოვა ბრალდებულის დასჯა. ბ ალდებულს იცავდა ნაფიცი ვექ ლის თანაშემწე ბ-ნი გ. გვაზავა, რომელმაც დიდხან ილაპარაკა და დაასკვნა მით, რომ ელაძეს არავითარი იმ საქმეში დანაშაულობა არ აქვს, რადგანაც არა სჩანს, რომ მას თვის განცხადებაზე უარი ეთქოს, და მეორე, თვით განცხადებაში ისეთი ხელ ჩასაჭიდებელი ფაქტი არაა მოყვანილი მღვდლის სახელის გასატეხად, რომლითაც ნათლად ვხედავდეთ, რომ გიორგისაგან აღნიშნული განცხადებანი მხოლოდ ცრუ დაბეზღება იყოს. დასასრულ ვექილმა ითხოვა ბრალდებულის მელაძის გამართლება. ოლქის სასამართლომ ნაშუადღევის 3 საათზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი გიორგი მელაძე და მიესაჯა ორი თვით ციხეში დაპატიმრება.

## საღამოს დეპეშები

16 თებერვალი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე მემკვიდრემ 15 თებერვალს დაათვალიერა აქაური ბირჟა. მათ უმაღლესობათ თან ახლდა ფინანსთა მინისტრი.

გამოიცა უმაღლესი რესკრიპტი დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელზე ამ უკანასკნელის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად დანიშვნიდან ოცდა ხუთის წლის შესრულებისა გამო.

ნოვგოროდის ვიცე-გუბერნატორს სტატს. სოვეტნ. ეილერს ებრძანა პოლონეთის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელად იყოს.

გომელის მოქალაქის პეტრე კარპოვიჩის საქმის გამოძიებას, რომელმაც 14 თებერვალს საე ო განათლების მინისტრს რევოლვერი ესროლა, აწარმოვებს დიდ-მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი კუზმინი, პეტერბურგის სამოსამართლო პალატას ბრალმდებლის ზედამხედველობით. პეტრე კარპოვიჩი მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებით-მეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი ყოფილა; მაგრამ 1896 წელს გამოურიცხავთ უნივერსიტეტში მომხდარ არეულობის დროს. 1898 წელს კარპოვიჩის ნება მიეცა იურიევის უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე შესულიყო, მაგრამ აქედანაც 1899 წელს გამორიცხულ იქმნა სტუდენტთა მღელვარების დროს. გასულ წელს კარპოვიჩი ბერლინის უნივერსიტეტში უგდებდა ყურს ლექციებს. ბრალდებული კარპოვიჩი დაატუსაღეს.

ადმირალი ალექსეევი დეპეშით იტყობინება: გენერალი ლენევიჩი იანცუნ-შანჰაიგუანის რკინის გზის ლიანდაგზე ჩვენი დამცველი რაზმის გაუქმების შესახებ იტყობინება: „რუსეთის ჯარის კაცებს ჩინელები გულწრფელის გრნობ თ ეთხოვებოდნენ, ყველგან პურმარილით ხვდებოდნენ და უმასპინძლდებოდნენ მათ. ჩემთანაც ეგრევე მოდიოდნენ რკინის გზის სადგურებზე ჩინელთა დეპუტაციები მადლობის გამოსათქმელად იმ მფარველობისათვის, რომელიც მათ გაუწიეს რისეთის ჯარის კაცებმა სახლების და ქონების დაცვისათვის.

ყველგან ერთი და იგივე სიტყვები მესმის, რომ აქამდის მხოლოდ რუსეთის ჯარის კაცები იყვნენ ჩინელების მფარველებიო, რომ რუსების წასვლის შემდეგ ჩინელები რჩებიან უმფარველოდ და რომ მათვის ეხლა დგება სამძიმო ხანა ცხოვრებისა. ყოველგან მთხოვდნენ ოროლი ჯარის კაცი მაინც დამეტოვებინა მათ მფარველებად. რუსეთის ჯარის კაცთა ასეთ ვაჟ-კაცურ ღირსებებზე და მათდამი გულწრფელ გრძნობებზე, პატივის ცემაზე და ნდობაზე ჩინელების მიერ ჩემს მოვალეობათ ვსთვლი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას. სადაც კი შეიძლებოდა მე ავასრულე ჩინელთა სურვილი“

**ხაბაროვსკი.** 14 თებერვალს გაიხსნა რკინის გზა ვლადივასტოკსა, ხარბინსა და ციციკარს შუა.

**ლოძი.** 14 თებერვალს, ღამის 2 საათზე, პრაბიანიცში, ლოძის ახლო, ცეცხლი მოედო კრუშეს და ენდერის ქაღალდის ნაწარმოებთა საწყობს. ზარალი ნახევარ მილიონია. საწყობი დაზღვეულია მოსკოვისა და სხვა საზოგედოებებში.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კრანბორნი აცხადებს, რომ ლაპარაკი არ ყოფილა სპილოს ყურეს გერმანიისათვის დათმობის შესახებ. ახმიდ ბარტლეტი ჰკითხავს: მიიღო თუ არა მთავრობამ ზომები იმის სესახებ, რომ იანცეს მმართველნი, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს ცივილიზაციას და დიდ ბრიტანიას, დატოვებულ იქმნენ თავ-თავიანთ ალაგზედ? კრანბორნი უპასუხებს, რომ რამდენიმე ხსის წინად ინგლისის მთავრობამ აწონ-დაწონა საქმე და ინგლისის ელჩმა მოხსენება გამოგზავნა, რომ არავითარი შიში არ არის მათ გადაყენების შესახებო. ბრიტანიის მთავრობა ჯეროვანად აფასებს მათ ღვაწლსო.

**კაპშტადტი.** ფრენჩის ბარგის ალალის მოძრაობას წვიმები უშლის ხელს. ბურები ყოველ-დღე უცვივდებიან ხელში ინგლისელებს ტყვედ, ან თვით იხსნიან იარაღს. მტერი, რომელიც ფრენჩის ახლო სდგას, პატარ-პატარა რაზმებად დაიყო. დევეტმა გოპტაუნის ჩრდილოეთის მდინარეს ფონი ვერ უპოვნა და სამხრეთისაკენ გაბრუნდა. მისი დაცალკევებული რაზმე'ი რკინის გზის ლიანდაგზედ გადავიდნენ და პეტრუსვილს უახლოვდებიან. მათ კვალში მისდევენ ინგლისელებიი უკანასკნელი დეპეშა იტყობინება, რომ დევეტი ფილიპსტოუნისაკენ მ. დისო. პრეზიდენტი შტეინიც იმასთან არის გერცოგმა და ბრანდმაც მისკენ მიიწიეს.

**ლონდონი.** მთავრობას არავითარი ცნობა არ მოსვლია ლუი ბოტას იარლის აყრის შესახებ.

**ლონდონი.** სინფუდან იტყობინებიან, რომ იუხსიენი ლაუჩეოუში დაინიშნა 9 თებერვალს.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 13 თებერვალს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,90 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,87½ |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,85 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | 5,6—7,2% |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ | ი ნ ი | თ ი. |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | 96⅛ |
| 4½% შინაგანი სესხ 1893 წ. | 99¾ | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — | 334¼ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | — | — | 295 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | — | — | 218 |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | 89 | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | — | — | 93¼ |
| 4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | — | — | 87¼ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ | 100 | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 93 | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | — | 93⅛ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | — | — |

### ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. 8½ | კ. |
| სუკი | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა | » | — 8½ | კ. |
| » ღორისა | » | —9-11 | კ. |
| » კამეჩისა | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთ | » | —14 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გირ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | 3½ | კ. |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჭვ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » » | II | » | » | » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდანზე — ვოგზა...

| | ფუთი. | მან. | კაპ. | მან. |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთესო | 1 | 1 | 30 | 1 |
| » წითელი | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი | 1 | — | 70 | — |
| სიმინდი | 1 | — | 65 | — |
| ფქვილი საფქვლისა | 1 | 1 | 20 | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — |
| კომბოსტო | 1 | — | 30 | — |
| კარტოფილი | 1 | — | 65 | — |
| ხახვი | 1 | — | 40 | — |
| თივა | 1 | — | 25 | — |
| ბზე | 1 | — | 23 | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობ... 38 მან., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუ... 3 მ. — კაპეიკიდან 4 მ.-მდე, ცხვარი თათ... ლი 3 მ. — კ.-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძრ... და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 კ.-მ... ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ., კა... საკლავი 26 მ.-დან 34 მანეთამდე.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | | | ხარისხი. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 | მან. | — | კ. | № 4—6 | მან. | 75 |
| № 1—8 | » | 25 | » | № 5—6 | » | 50 |
| № 2—7 | » | 75 | » | № 6—6 | » | — |
| № 3—7 | » | 25 | » | № 7—5 | » | 75 |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 ... ქერი როსტოვში 50 კ.-დამ 57 კ.-მდე, ნო... როსხიაში 59 კაპ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფუთისა — 87 ...
შაქარი იქვე ფუთი . . . 6 მან. 80 ...
» ფხვნილი » . . . . 5 » 30 ...

მატყლი ისპანიური თეთრი — ფუთი გაუ... თავებელი 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატ... 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 75 ... —4 მ. — კ., გარეცხილი — მან. — ... ისპანიური ჯიშის ცხვრის ტყავი თითო — — კაპეიკამდე.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებ...

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საა... ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ... ქოში გადის კვირაში ერ ხელ — ოთხშაბათო... დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქ... ჩადის სადამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფი... სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 ... ტფილისში ჩამოდის სადამოს 8 ს. 12 წ. ... ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტ... ლისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. ... წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს... 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში ... დის სადამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 ... ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 ...

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტ... ლისშა გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ... 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 2... (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათ... გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათ... ში ჩადის სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 ...

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმ... ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ... 54 წ.), ტფილისში ჩადის სადამოს 8 ს. 4... (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ... გადის სადამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 ... ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 ...

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმი... (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ... 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ... გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 ... ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).